

საქართველოს კანონი

”ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. ”ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №20. 04.05.2005. მუხ. 143) შევიდეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”2. ეს კანონი აწესრიგებს საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პირობებს, ზოგადი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს, ადგენს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად), მათი დაფუძნების, საქმიანობის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის და აკრედიტაციის წესს, აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა საქმიანობის წარმართვის პირობებსა და წესს.”.

2. მე-2 მუხლის:

ა) ”რ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”რ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციული და ფინანსური ავტონომია - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების თვითმმართველობა, რომლის სუბიექტები საჯარო სკოლაში არიან სამეურვეო საბჭო, დირექცია, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, სააპელაციო კომიტეტი - ასეთის არსებობის შემთხვევაში;”

ბ) ”ღ” ქვეპუნქტს დაემატოს ”ღ¹”, ”ღ²”, ”ღ³” და ”ღ⁴” ქვეპუნქტები შემდეგი რედაქციით:

”ღ¹) მასწავლებელი – კანონმდებლობით დადგენილი წესით სერტიფიცირებული, შესაბამისი განათლების მქონე პირი, რომელიც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

ღ²) მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი - მასწავლებლის ქცევის სავალდებულო ნორმები;

ღ³) მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი - პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევების, ღირებულებებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს ყველა მასწავლებელი;

ღ⁴) მასწავლებლობის მაძიებელი - პირი, რომელიც დროებით ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად;”

გ) ამოღებულ იქნეს ”ც” ქვეპუნქტი;

დ) ”წ” ქვეპუნქტს დაემატოს ”წ¹” ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”წ) მასწავლებლის პროფესიული განვითარების პორტფოლიო - მასწავლებლის პროფესიული მომზადების, უწყვეტი პროფესიული განვითარების, პრაქტიკული საქმიანობის ანალიზის, შეფასებისა და წარმატებების დამადასტურებელი დოკუმენტების ერთობლიობა;”;

ე) ”ჯ” ქვეპუნქტს დაემატოს ”ჯ¹” ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

”ჯ¹) სერტიფიცირება - მასწავლებლისათვის პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭება ან/და განახლება;”

3. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს ”ი” ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

”ი) მასწავლებელთა პროფესიის რეგულირებას.”.

4. მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”4. მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის უფლებებისა და თავისუფლებების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს გონივრული, პროპორციული, მინიმალური და განხორციელდეს მხოლოდ დადგენილი წესის საფუძველზე, პროფესიული ეთიკის კოდექსის სრული დაცვით, ჯეროვანი და სამართლიანი პროცედურით.”.

5. 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ”გ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”გ) აიმაღლოს კვალიფიკაცია, რისთვისაც 6 წელიწადში ერთხელ უფლებამოსილია მოითხოვოს ხანგრძლივი შვებულება 1 წლამდე ვადით ანაზღაურების გარეშე სამუშაო ადგილის შენარჩუნებით;”

6. 21-ე მუხლის შემდეგ დაემატოს ” II¹” თავი შემდეგი რედაქციით:

”თავი II¹ მასწავლებლის პროფესია

მუხლი 21¹. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელი

1. მასწავლებელი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეებს ასწავლის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებს.

2. მასწავლებელი შეიძლება იყოს პირი, რომელიც სერტიფიცირებულია ამ კანონითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

3. მასწავლებელი არ შეიძლება იყოს ნასამართლეობის მქონე პირი.

4. მასწავლებლის სერტიფიცირება მოიცავს მასწავლებლობის უფლების მოპოვებას და განახლებას.

5. მასწავლებლობის უფლების მოპოვება ამ კანონით დადგენილ შემთხვევებში მოიცავს:

ა) ამ კანონით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილებას;

ბ) მაძიებლობის პერიოდის წარმატებით გავლას;

გ) სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარებას.

6. მასწავლებლობის უფლების განახლებისათვის აუცილებელია მასწავლებლის პროფესიული განვითარება ამ კანონითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

7. მასწავლებელი ვალდებულია:

ა) მისცეს მოსწავლეს ხარისხიანი განათლება;

- ბ) იზრუნოს თითოეული მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე და მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე;
- გ) იზრუნოს პროფესიულ განვითარებაზე;
- დ) დაიცვას მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი;
- ე) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებები;
- ვ) კანონმდებლობითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით წარადგინოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ინფორმაცია საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

მუხლი 21². მასწავლებლის სახეები და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

1. ზოგადი განათლების მასწავლებლების სახეებია:

- ა) დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელსაც აქვს სათანადო კვალიფიკაცია იმისათვის, რომ ასწავლოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგანი ან საგნობრივი ჯგუფი ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე;
- ბ) საგნის მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელსაც აქვს საჭირო კვალიფიკაცია იმისათვის, რომ ასწავლოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე საგანი საბაზო ან/და საშუალო საფეხურზე;
- გ) საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელსაც აქვს საჭირო კვალიფიკაცია იმისათვის, რომ ასწავლოს ყველა საგანი, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ერთ საგნობრივ ჯგუფშია გაერთიანებული საბაზო ან/და საშუალო საფეხურზე;
- დ) პროფესიის მასწავლებელი - ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროფესიის მასწავლებელი;
- ე) სახელოვნებო ან სასპორტო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი - ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სახელოვნებო ან სასპორტო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი;
- ვ) სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მასწავლებელი - მასწავლებელი, რომელიც ფლობს საჭირო კვალიფიკაციას იმისათვის, რომ ასწავლოს სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებს.

2. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის წარდგინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განისაზღვრება მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, რომელიც მოიცავს პროფესიულ სტანდარტს თითოეული სახის მასწავლებლისათვის. მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს უნდა შეესაბამებოდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ყველა მასწავლებელი.

მუხლი 21³. მასწავლებლის განათლება

- 1. დაწყებითი საფეხურის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს განათლების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.
- 2. საბაზო/საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხი.
- 3. პროფესიის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს

ა) სრული ზოგადი განათლება;
ბ) შესაბამისი პროფესიული განათლება;
გ) გავლილი უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი კრედიტების რაოდენობის შესაბამისად.

4. საბაზო/საშუალო საფეხურის სახელოვნებო ან სასპორტო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს:

ა) სრული ზოგადი განათლება;
ბ) შესაბამისი სახელოვნებო ან სასპორტო განათლება;
გ) განათლების ბაკალავრის ან მაგისტრის აკადემიური ხარისხი, ან გავლილი ჰქონდეს აკრედიტებული მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი კრედიტების რაოდენობის შესაბამისად.

5. სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მასწავლებელი შეიძლება იყოს პირი, რომელიც არის 21²-ე მუხლის 1-ლი პუნქტის "ა-ე" ქვეპუნქტებში მოყვანილი ერთერთი მასწავლებელი და აგრეთვე გავლილი აქვს სპეციალური აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესისა და კრედიტების რაოდენობის შესაბამისად.

მუხლი 21⁴. მასწავლებლობის მაძიებელი

1. მასწავლებლობის უფლება შეიძლება მოიპოვოს პირმა, რომელიც დადგენილი წესით გაივლის რეგისტრაციას მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში, როგორც მასწავლებლობის მაძიებელი და წარმატებით გაივლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში 1-წლიან მაძიებლობის პერიოდს. ეს მოთხოვნა არ ვრცელდება 21² მუხლის 1-ლი პუნქტის "დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მასწავლებლებზე.

2. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი რეგისტრაციაში ატარებს მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც შეესაბამებიან ამ კანონით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია მაძიებლობის პერიოდის მანძილზე მასწავლებლობის მაძიებელს აუნაზღაუროს შრომა. მასწავლებლის სერტიფიცირებისათვის არ აქვს მნიშვნელობა მასწავლებლობის მაძიებელი იღებს თუ არა შრომის ანაზღაურებას.

4. მასწავლებლობის მაძიებელი სარგებლობს ამ კანონით მასწავლებლისათვის გათვალისწინებული ყველა უფლებითა და შეღავათით, გარდა მასწავლებლის შრომის ანაზღაურების ამ კანონით დადგენილი მინიმალური ოდენობის მიღებისა და საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებისა.

5. მასწავლებლობის მაძიებლის სტატუსით პირმა სკოლაში შეიძლება იმუშაოს არაუმეტეს 2 წლის განმავლობაში, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი შემთხვევებისა.

6. მაძიებლობის პერიოდის დასრულების შემდგომ სკოლა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს დადგენილი წესით წარუდგენს დოკუმენტს მასწავლებლობის მაძიებლის მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან და

მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსთან შესაბამისობის შესახებ. დოკუმენტი შეიძლება შეიცავდეს 2 სახის გადაწყვეტილებას;

ა) მასწავლებლობის მაძიებელი აკმაყოფილებს მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს;

ბ) მასწავლებლობის მაძიებელი მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს არ აკმაყოფილებს.

7. მასწავლებლობის მაძიებელს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ შეიძლება მიენიჭოს უფლება ასწავლოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში განსაზღვრული ვადით მასწავლებლობის მაძიებლად 2 წლის განმავლობაში სკოლაში სწავლების შემდეგ, თუ არსებობს შემდეგი 2 პირობა:

ა) მასწავლებლობის მაძიებლის სტატუსით 2 წლიანი სწავლების პერიოდის გასვლიდან არაუმეტეს 1 წლის განმავლობაში იგი გავა სასერტიფიკაციო გამოცდაზე და გადალახავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ზღვარს;

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებობს ვაკანსია, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით არ შეივსო.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული მასწავლებლობის მაძიებლისათვის სწავლების უფლების მინიჭების ვადას განსაზღვრავს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 21⁵. მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდა

1. მასწავლებლის უფლების მოპოვებისათვის აუცილებელია მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება. ეს მოთხოვნა არ ვრცელდება ამ კანონის 21² მუხლის 1-ლი პუნქტის "დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მასწავლებლებზე.

2. სასერტიფიკაციო გამოცდის მიზანია მასწავლებლობის მაძიებლის ცოდნის და უნარების შესაბამისობის დადგენა შესაბამისი სახის მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან.

3. სასერტიფიკაციო გამოცდაზე დაიშვება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ რეგისტრირებული მასწავლებლობის მაძიებელი, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში წარმატებით გაივლის მაძიებლობის პერიოდს 21⁴-ე მუხლის მე-6 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად.

4. მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდა შედგება ორი ნაწილისაგან:

ა) შინაარსობრივი ნაწილი, რომელიც ამოწმებს მასწავლებლის მიერ შესაბამისი ეროვნული სასწავლო გეგმითა და შესაბამისი მასწავლებლის სტანდარტით გათვალისწინებული პროფესიული ცოდნის ფლობის ხარისხს;

ბ) უნარების ნაწილი, რომელიც სიტუაციური ამოცანების საშუალებით ამოწმებს მასწავლებლის უნარს, შეარჩიოს სწორი სტრატეგია და მიიღოს მართებული გადაწყვეტილება სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

5. სასერტიფიკაციო გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი ეროვნული გამოცდების ცენტრი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 21⁶. მასწავლებლის სერტიფიკატი

1. ამ კანონით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი გასცემს მასწავლებლის სერტიფიკატს, რომელიც მოქმედებს გაცემიდან 8 წლის განმავლობაში.

2. მასწავლებლის სერტიფიკატის ნიმუში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის წარდგინებით განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.

მუხლი 21⁷. მასწავლებლის პროფესიული განვითარება

1. მასწავლებელი ვალდებულია განაახლოს მასწავლებლობის უფლება სერტიფიკატის ვადის ამოწურვის შემდეგ პედაგოგიური საქმიანობის განხორციელებისათვის. მასწავლებლის უფლების განახლებისათვის პირი ვალდებულია დააგროვოს მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემით განსაზღვრული კრედიტები. მასწავლებლის უფლების განახლება ხდება 8 წლის ვადით.

2. პროფესიული განვითარების კრედიტების დაგროვების შესაძლებლობებია:

ა) აკრედიტებული პროფესიული განვითარების პროგრამების გავლა;

ბ) საგანმანათლებლო ან პედაგოგიური პროდუქტის შექმნა, (სახელმძღვანელოს, საგანმანათლებლო პროგრამის ავტორობა, საგანმანათლებლო პროექტის შემუშავება ან/და განხორციელება, მაძიებლებისა და სხვა პედაგოგებისათვის ცოდნის გაზიარება და სხვა.);

გ) მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან 6 წლის შემდეგ შესაბამისი მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

3. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების დაფინანსების შესაძლო წყაროებია:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახსრები, მათ შორის ვაუჩერული დაფინანსებიდან მიღებული შემოსავლები;

ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული შესაბამისი მიზნობრივი პროგრამის სახსრები;

გ) მასწავლებლის მიერ თვითდაფინანსება;

დ) დონორების მიერ დაფინანსება;

ე) კანონმდებლობით ნებადართული სხვა სახსრები”.

4. მასწავლებლის პროფესიული განვითარების, პრაქტიკული გამოცდილებისა და პროფესიული წარმატებების აღრიცხვა ხორციელდება მასწავლებლის პორტფოლიოს მეშვეობით. პორტფოლიოს ნიმუშს და მისი მომზადების წესს ამტკიცებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი.

5. იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლის სერტიფიკატის ვადის ამოწურვის შემდეგ მასწავლებელი ვერ დააგროვებს მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობას და არ განაახლებს სერტიფიკატს, იგი კარგავს სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსს.

6. სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსის ვადამდე ჩამორთმევის პირობები განისაზღვრება სერტიფიცირების დებულებით.

მუხლი 21⁸. მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია

1. მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს.

2. მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი.

3. მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის წესს და პირობებს ამტკიცებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის წარდგინებით და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის თანხმობით.

4. მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებაში აღნიშნება აგრეთვე ამ პროგრამის კრედიტების რაოდენობა.”

6. 25-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოაყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”3. საქართველოს პრემიერ-მინისტრი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორებს.”

7. 26-ე მუხლის:

ა) 1-ლი პუნქტის ”დ” და ”ე” ქვეპუნქტები ჩამოაყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”დ) შეიმუშავებს და ამტკიცებს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დებულებებს;

ე) საქართველოს პრემიერ-მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორების კანდიდატურებს;”

ბ) 1-ლი პუნქტის ”შ” ქვეპუნქტს დაემატოს ”შ¹” ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

”შ¹) საჯარო სამართლის იურიდიული პირი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის წარდგინებით ამტკიცებს:

შ¹.ა) მასწავლებლის დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

შ¹.ბ) მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს;

შ¹.გ) მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემას;

შ¹.დ) მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსს;

შ¹.ე) საჯარო სამართლის იურიდიული პირი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული

ნორმების დარღვევის შემთხვევაში მასწავლებლის მიმართ განსახორციელებელი დისციპლინური წარმოების წესს;

შ^{1.ვ}) მასწავლებლობის მაძიებელთა რეგისტრაციის და მაძიებლობის პერიოდის გავლის წესს, აგრეთვე მაძიებლობის პერიოდის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ნიმუშს და მისი გაცემის წესს;

შ^{1.ზ}) მასწავლებელთა სერტიფიცირების დებულებას და მასწავლებლობის უფლების დამადასტურებელი სერტიფიკატის ნიმუშს;

შ^{1.თ}) მასწავლებლობის მაძიებელთა რეგისტრაციის, აგრეთვე მასწავლებლის უფლების მოპოვების და განახლების საფასურის ოდენობას.”.

გ) 1-ლი პუნქტის ”ჯ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”ჯ) განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის წარდგინებით და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის თანხმობით ამტკიცებს მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის დებულებას;”

დ) 1-ლი პუნქტის ”ჰ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”ჰ) ახორციელებს მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების აღრიცხვას და ადგენს მათი აღრიცხვის წესს;”

ე) 1-ლი პუნქტის ”ჰ” ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

ვ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო რეგისტრაციაში ატარებს საჯარო სკოლების დირექტორებს, დირექტორების მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მათი მოვალეობის შემსრულებელ მოადგილეებს, მოვალეობის სხვა შემსრულებლებს, სამეურვეო საბჭოს წევრებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, შემდეგი პირობების დაცვით:

ა) მონაცემი რეგისტრირდება მისი წარდგენიდან 15 დღის ვადაში;

ბ) მონაცემი არ რეგისტრირდება, თუ დარღვეულია ამ კანონისა და ზოგადი განათლების სფეროში მოქმედი კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნები;

გ) მონაცემი რეგისტრირებულად ითვლება, თუ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მონაცემის წარმდგენს 15 დღის ვადაში არ აცნობებს აღმოჩენილი კანონდარღვევის შესახებ;

დ) მონაცემი, რომელიც აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს უკავშირდება, რეგისტრირდება შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს წარდგენის საფუძველზე.”

8. 28-ე მუხლს დაემატოს 28¹ მუხლი შემდეგი რედაქციით:

”მუხლი 28¹ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი

1. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

2. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ფუნქციებია:

ა) კანონდებლობით დადგენილი წესით მასწავლებელთა პერსონალური მონაცემების აღრიცხვა;

ბ) მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მომზადება;

გ) მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის მომზადების უზრუნველყოფა;

დ) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არსებული მასწავლებლისა და მამიებლების ვაკანსიების რეგისტრაცია;

ე) მასწავლებლობის მამიებელთა რეგისტრაციისა და მამიებლობის პერიოდის გავლის წესის შემუშავება;

ვ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი ეროვნული გამოცდების ცენტრის მონაწილეობით მასწავლებელთა სერტიფიცირების დებულების შემუშავება;

ზ) მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის შემუშავება, მასწავლებლის პორტფოლიოს ნიმუშისა და მისი მომზადების წესის დამტკიცება;

თ) მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის დებულების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება და შეთანხმება;

ი) პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევების შემთხვევაში მასწავლებლის მიმართ დისციპლინური დევნის განხორციელება;

კ) კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსის ჩამორთმევა;

ლ) მასწავლებელთა სერტიფიცირება ამ კანონითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;

მ) საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ კანონით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.”

9. 33-ე მუხლის:

ა) 1-ლ პუნქტს დაემატოს ”ლ”, ”მ” და ”ნ” ქვეპუნქტები შემდეგი რედაქციით:

”ლ) კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს მასწავლებლობის მამიებელი სკოლაში;

მ) კანონმდებლობით დადგენილი წესით წარუდგინოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს დაწესებულებაში დასაქმებული მასწავლებლების პერსონალური მონაცემები, აგრეთვე ინფორმაცია სკოლაში არსებული მასწავლებლისა და მამიებლების ვაკანსიების შესახებ;

ნ) მის ხელთ არსებული რესურსების ფარგლებში ხელი შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, მათ შორის პროფესიული მზადების პროგრამაში მათი მონაწილეობის ხარჯების დაფინანსების ან თანადაფინანსების გზით.”.

ბ) მე-2 პუნქტს დაემატოს ”ზ” ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

”ზ) პროფესიული განვითარების დონის შესაბამისად მიიღოს ზომები მასწავლებლის შრომის ანაზღაურების უფრო მიმზიდველი პირობების შესაქმნელად.”.

11. 45-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”1. პედაგოგურ საბჭოში ყველა მასწავლებელი და მასწავლებლობის მაძიებელი სარგებლობს თანაბარი ხმის უფლებით. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი.”

12. 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებამდე მოამზადოს კანონპროექტები ”სააღმზრდელო საქმიანობის შესახებ”, ”პროფესიული განათლების შესახებ” და ”საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროგრამების აკრედიტაციის შესახებ”.

13. 56-ე მუხლს დაემატოს 56¹-ე მუხლის შემდეგი რედაქციით:

”მუხლი 56¹. სკოლისგარეშე სახელოვნებო ან სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელი

1. სკოლისგარეშე სახელოვნებო ან სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელი შეიძლება იყოს შესაბამისი აკადემიური ან პროფესიული უმაღლესი სახელოვნებო ან სასპორტო განათლების მქონე პირი, რომელსაც

ა) გავლილი აქვს მასწავლებლის მომზადების აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესითა და კრედიტების რაოდენობის შესაბამისად;

ბ) გავლილი აქვს მაძიებლობის პერიოდი და წარმატებით ჩააბარებს მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის უნარების ნაწილს.

2. სკოლისგარეშე სახელოვნებო ან სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელზე სერტიფიკატი გაიცემა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სერტიფიცირების დებულების შესაბამისად.

3. სკოლისგარეშე სახელოვნებო ან სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელზე ვრცელდება ამ კანონით განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა პროფესიული მომზადებისა და განვითარების წესი და პირობები.

4. სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებები მასწავლებლის საქმიანობასთან დაკავშირებით ასრულებენ ამ კანონის 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ”ლ”, ”მ” და ”ნ” ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ვალდებულებებს და განახორციელებენ ამა მუხლის მე-2 პუნქტის ”ზ” ქვეპუნქტით მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

5. სკოლისგარეშე სახელოვნებო ან სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა საქმიანობის წარმართვის პირობებისა და წესის განსაზღვრის მიზნით, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის

სამინისტრო მონაწილეობს მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის დებულების იმ ნაწილის შემუშავებაში, რომელიც ეხება სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებელთა მომზადებასა და განვითარებას.”.

14. 61-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”მუხლი 61. მასწავლებელთა პირველი სერტიფიცირება

1. პირველი სასერტიფიკაციო გამოცდები ჩატარდეს არაუგვიანეს 2009 წლის 1 მარტისა.

2. 2013 წლის ბოლომდე ყველა მოქმედმა მასწავლებელმა უნდა ჩააბაროს სასერტიფიკაციო გამოცდა, რათა მოიპოვოს მასწავლებლობის უფლება. ამ ვადამდე მასწავლებლად მუშაობის დაწყება შეუძლიათ მხოლოდ უმაღლესი განათლების მქონე პირებს, ვისაც უმაღლესი განათლების დიპლომში მითითებული აქვთ პედაგოგის და/ან საგნის სპეციალისტის კვალიფიკაცია. ეროვნული სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების უფლების მოსაპოვებლად მათ უნდა ჰქონდეთ სკოლაში მუშაობის სულ მცირე ერთწლიანი სტაჟი.

3. 2009 წლიდან შესაბამისი მასწავლებლობის უფლების მოპოვება შეეძლება განათლების ბაკალავრებს ან განათლების მაგისტრებს სკოლაში ერთწლიანი მაძიებლობის პერიოდისა და სასერტიფიკაციო გამოცდის წარმატებით დაძლევის შემდეგ, ხოლო სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლობის უფლების მოპოვება შეეძლება აგრეთვე შესაბამისი აკადემიური ან პროფესიული უმაღლესი სახელოვნებო ან სასპორტო განათლების მქონე პირებს, რომელთაც გავლილი აქვთ მასწავლებლის მომზადების აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა, სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთწლიანი მაძიებლობის პერიოდისა და სასერტიფიკაციო გამოცდის წარმატებით დაძლევის შემთხვევაში.

მუხლი 2.

ეს კანონი ძალაში შევიდეს გამოქვეყნებიდან მეთხუთმეტე დღეს.

პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი